თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5655757

ნომერი: AR1853044

თარიღი : 27.09.2021

გაცემის თარიღი : 27.10.2021

გაცნობის თარიღი : 27.10.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შოთა ნიშნიანიძის ქუჩა, N 30ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაპანაძე პ/ნ 01003012478
- თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 13 ბ. 51

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №4658294 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 27 სექტემერს №AR1853044 განცხადებით მომართა გიორგი კაპანაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 6

სექტემბერის №4658294 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №4658294 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, შოთა ნიშნიანიძის ქუჩა №30ა, შოთა ნიშნიანიძის ქუჩა №36-ში მდებარე №01.18.03.017.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4950063 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 15 მაისიდან 2021 წლის 15 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5387677 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4950063 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 29 აპრილიდან 2022 წლის 14 მარტის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №4658294 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად 267.0 კვ.მ-ის ნაცვლად 267.1 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 183.7 კვ.მ-ის ნაცვლად 187.4 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 63.0 კვ.მ-ის ნაცვლად 85.2 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 1229.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1255.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ –ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება უბრალოდ -5.85, -2.88 და +9.15 ნიშნულების გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №4658294 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №4658294 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 267.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 187.4 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 85.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 1255.5 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №4658294 ბრძანებით შეთანხმებული -5.85, -2.88 და +9.15 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №4658294 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №4658294 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.